

უპირატესობა შედეგია ცოდნისა!



შპს „ჯინო პარკი“

2017 წლის ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

ს ა რ ჭ ე ვ ი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „ჯინო პარკი“-ს 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
შპს „ჯინო პარკი“-ს 2017 წლის ფინანსური ანგარიშგება:	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებას 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- საწარმოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2019 წლის 22 თებერვალს:

დირექტორი ----- რამაზ მიქაძე

მთ. ბუღალტერი ----- ვერიკო გუდავა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

შპს „ჯინო პარკის“ მენეჯმენტს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „ჯინო პარკის“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 404906722) (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების ასახვისათვის მანამდე (მათ შორის, 2015 და 2016 წლებში) გამოყენებული თვითღირებულების მოდელი შეეცვალა გადაფასების მოდელით, **ბასს 16** - „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად. გადაფასებას დაექვემდებარა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფი 2015 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით, 2016 წლის 4 ოქტომბერს ერთ-ერთი უფლებამოსილი აუდიტორი ფირმის მიერ გაცემული საშემფასებლო დასკვნის საფუძველზე. კომპანიამ გადაფასების შედეგები ასახა რეტროსპექტულად 2015 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ჩათვალა რა ეს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებად. კომპანიის ამ გადაწყვეტილებას არ ვეთანხმებით, რადგან **ბასს 8** - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომების“ თანახმად, ძირითადი საშუალებების გადაფასების პოლიტიკის თავდაპირველი გამოყენება განიხილება როგორც სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება, რაც უნდა აღირიცხოს **ბასს 16**-ის შესაბამისად და არა **ბასს 8**-ის შესაბამისად. ეს არ იწვევს უკვე წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებების რეტროსპექტულ გადაანგარიშებას. ამასთან, კომპანიას უნდა გაეკეთებინა ძირითადი საშუალებების ღირებულების შეფასება მიმდინარე ანუ 2017 წლის მდგომარეობით, და არ უნდა დაყრდნობოდა 2015 წლის დეკემბერში გაკეთებულ შეფასებას. კომპანიას არ წარმოუდგენია აკრედიტებული შემფასებლის მიერ ხელმოწერილი საშემფასებლო დასკვნა 2017 წლის მდგომარეობით. აღნიშნული ფაქტორი ახდენს არსებით და ყოვლისმომცველ ზეგავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების

მნიშვნელოვან მუხლებზე - ძირითადი საშუალებებისა და მათი ცვეთის ხარჯის თანხაზე, დაუფარავი ზარალისა და გადაფასების რეზერვების სიდიდეზე.

გარდა ამისა, რადგან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით აუდიტორული მომსახურების გაწევა ჩვენმა აუდიტურმა კომპანიამ დაიწყო 2018 წლის ივლისიდან, ჩვენ ვერ მოვახერხეთ, საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს დათვალიერებით ან სხვა ალტერნატიული გზებით მარაგების რაოდენობებისა და სახეობრივი შემადგენლობის დადასტურება, რომლებიც კომპანიას აქვს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ მარაგთან დაკავშირებით.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2.3 განმარტებით შენიშვნაზე, რომელიც ეხება საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპთან დაკავშირებულ განუსაზღვრელობას. კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მართებულია საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენება. ამ შენიშვნაში აღნიშნული გარემოებები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც ექვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

მნიშვნელოვანი გარემოებები

2018 წლის აგვისტოში დაიწყო კომპანიის 2015-2018 საანგარიშგებო წლების სრული გეგმიური საგადასახადო შემოწმება საქართველოს საგადასახადო ორგანოს - შემოსავლების სამსახურის მიერ, რომელიც დასრულდა 2018 წლის დეკემბერში. საგადასახადო შემოწმების შედეგებთან დაკავშირებით ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილია განმარტებითი შენიშვნა 3.28. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებულია ჩვენი აუდიტური კომპანიის მიერ და გამოთქმულია არამოდიფიცირებული მოსაზრება ამ ანგარიშგების შესახებ 2017 წლის 31 ივლისს. 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებულია სხვა აუდიტური კომპანიის მიერ, რომელსაც ასევე გამოთქმული აქვს არამოდიფიცირებული მოსაზრება აღნიშნული ანგარიშგების შესახებ 2016 წლის 30 ივნისს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას

განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში.

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ შპს „ჯინო პარკის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის – „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ – ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „ჯინო პარკისაგან“ იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

22 თებერვალი, 2019 წელი

შპს "ჯინო პარკი"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1000 GEL				
	საანგარიშგებო პერიოდი			შენიშვნა
	01.01.2016	31.12.2016	31.12.2017	
აქტივები				
მიმდინარე აქტივები, სულ:	3046	3044	3080	
ფულადი სახსრები	1645	1656	1985	3.1
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	49	165	36	3.2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	1119	843	766	3.3
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	36	16	2	3.3
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	177	268	180	3.4
წინასწარ გადახდილი გადასახადები	20	21	19	3.5
სხვა მიმდინარე აქტივები	0	75	92	3.5
გრძელვადიანი აქტივები, სულ:				
ძირითადი საშუალებები	23962	22975	22077	3.6
არამატერიალური აქტივები	367	360	339	3.7
სულ აქტივები:	27375	26379	25496	
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	8714	10421	7849	
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1638	332	241	3.8
მოკლევადიანი სესხები	4517	6629	3554	3.9
საგადასახადო ვალდებულებები	484	932	728	3.10
გასაცემი პროცენტები და მსგავსი ვალდებულებები	1980	2310	3245	3.11
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	95	218	81	3.12
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:				
გრძელვადიანი სესხები	41287	38895	45839	3.13
სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	327	5834	8722	3.13
სულ კაპიტალი:				
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	26842	26842	26842	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	-51717	-57535	-65678	
რეზერვები და დაფინანსება	1922	1922	1922	3.14
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	27375	26379	25496	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 22.02.2019 წ.				
დირექტორი _____	რამაზ მიქაძე			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "ჯინო პარკი"			
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება			
			ერთეული: 1000 GEL
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2016	2017	
ამონაგები	3090	3877	
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-343	-145	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	2747	3732	3.15
მიწოდების ხარჯები	-359	-200	3.16
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-2654	-2842	3.17
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	-1295	-1325	3.18
სულ საოპერაციო ხარჯები:	-4308	-4367	
შემოსულობები დანაკლისის დაკისრებიდან	2	3	
ფინანსური შემოსავლები	2	1	
დადებითი საკურსო სხვაობები	334	447	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	1476	205	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	1814	656	3.19
ზარალი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან	0	-5	
ფინანსური დანახარჯები	-2036	-2300	
რისკის ანარიზი	-280	433	
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-2	-32	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-3662	-6183	
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-91	-77	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-6071	-8164	3.20
მოგება დაბეგვრამდე:	-5818	-8143	
მოგების გადასახადის ხარჯი			
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან:	-5818	-8143	3.21
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან			
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	-5818	-8143	
მათ შორის, მოგება ან ზარალი მისაკუთვნიებული:			
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	-5818	-8143	
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:			
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	-5818	-8143	
მათ შორის, სრული შემოსავალი მისაკუთვნიებული:			
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	-5818	-8143	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 22.02.2019 წ.			
დირექტორი _____	რამაზ მიქაძე		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ჯინო პარკი"				
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება				
ერთეული: 1000 GEL				
	სააქციო / საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	გადაფასების რეზერვები	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2016-თვის	26842	-26942		-100
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები		-24815	1922	-22893
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები		40		40
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები	26842	-51717	1922	-22953
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი		-5818		-5818
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		-5818		-5818
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები				
ნაშთი 01.01.2017-თვის	26842	-57535	1922	-28771
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი		-8143		-8143
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		-8143		-8143
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები				
ნაშთი 01.01.2018-თვის	26842	-65678	1922	-36914
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 22.02.2019 წ.				
დირექტორი _____	რამაზ მიქაძე			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "ჯინო პარკი"			
ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)			
		ერთეული: 1000 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2016	2017	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	3474	5657	
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	3	4	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-2063	-3297	
გაცემული შრომის ანაზღაურება	-908	-708	
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	-597	-645	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-57	-21	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	-148	990	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-300	-524	
ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობანი		100	
მიღებული პროცენტები	2	1	
სხვა შემოსულობანი / განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	7		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-291	-423	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	4781	3618	3.22
სესხების დაფარვა	-2717	-2568	3.22
გადახდილი პროცენტები	-1700	-1488	3.23
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	364	-438	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	86	200	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	11	329	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	1645	1656	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	1656	1985	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 22.02.2019 წ.			
დირექტორი _____	რამაზ მიქაძე		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ჯინო პარკი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2011 წლის 9 აგვისტოს ქ. თბილისის საჯარო რეესტრის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია – 404906722, იურიდიული მისამართი – საქართველო, ქ. თბილისი, ბემენოვას ქ. #9/ლიპტოვის ქ. #8. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის ერთადერთი 100%-იანი წილის მფლობელია შპს Gino Euro Invest s.r.o. (ჯინო ევრო ინვესტ ს.რ.ო.), ჩეხეთის რესპუბლიკა (ს.ნ. 243 14 145). კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირი არის – ნოდარ გიორგაძე (პ.ნ. BJ1763927, 521015/901, სლოვაკეთი).

1.3. კომპანიის დირექტორია რამაზ მიქაძე (პ.ნ. 01015001776).

1.4. კომპანიის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს მრავალფუნქციური დასვენებისა და გამაჯანსაღებელი მომსახურების გაწევა.

კომპანიის დამატებითი ეკონომიკური საქმიანობაა მარკეტინგული მომსახურება და ქონების იჯარით გაცემა.

1.5. კომპანიას ფილიალები არ აქვს.

1.6. კომპანიას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები. შვილობილი საწარმოს შეძენა მოხდა 2018 წლის მარტში.

1.7. კომპანიის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს მრავალფუნქციური დასვენებისა და გამაჯანსაღებელი მომსახურების გაწევა.

კომპანიის დამატებითი ეკონომიკური საქმიანობაა მარკეტინგული მომსახურება და ქონების იჯარით გაცემა.

1.5. ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო

ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება 2015 წლიდან წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მიღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS ანუ „ფასს“-ები) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მეორე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სავალდებულოა.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია.

ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-ებთან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების თანხებზე. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია „ფასს“-ების ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ ახლო მომავალში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა (მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოკლევადიანი ვალდებულებები დაახლოებით 2,5-ჯერ აჭარბებს მის მიმდინარე აქტივებს), რაც დადასტურდა 2018 წლის განმავლობაში. შესაბამისად, კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ

დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიამ 2017 წელს მიიღო გადაწყვეტილება, შეეცვალა მანამდე არსებული სააღრიცხვო პოლიტიკა ძირითადი საშუალებების მიმართ და ადრე გამოყენებული თვითღირებულების მოდელიდან გადავიდა გადაფასების მოდელზე. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, რეტროსპექტულად გადაანგარიშდა საბუღალტრო ნაშთები 2015 წლის ბოლო (31 დეკემბრის) მდგომარეობით. 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები და ინტერპრეტაციები.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს სესხებზე დარიცხული პროცენტის თანხებს, ასევე ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს.

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება, ვალების ჩამოწერით მიღებული შემოსავალი, დადებითი სავალუტო საკურსო სხვაობა, შემოსავალი ვადაგასული ვაუჩერებიდან, სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული ზარალის ანაზღაურებით მიღებული შემოსავალი, ადრე აღიარებულისაგადასახადო ჯარიმებისა და საურავების გაუქმებით მიღებული

შემოსავალი, საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან, გაცემული სესხებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან და თამასუქებიდან და სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის ფინანსურ ხარჯები მოიცავს სესხზე დარიცხული პროცენტის თანხებს, სესხის სადაზღვევო და საგარანტიო ხარჯებს, პირგასამტეხლოს თანხებს, საგადასახადო ჯარიმებს და საურავებს.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ ჯგუფს აქვს ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 1 წელზე მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება გადაფასების მოდელი.

ბ) საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის გამოიყენება გადაფასების მოდელი.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება: თუ ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო თვის პირველ ნახევარში, იმავე თვიდან, ხოლო თუ თვის მეორე ნახევარში დაიწყო, მაშინ მომდევნო თვიდან.

დ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 8-30 წელი;

ელექტრონული და სხვა მოწყობილობები - 5-10 წელი;

ავეჯი და სხვა ინვენტარი - 3-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა, ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს.

გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

მიმდინარე მოგების გადასახადი 2017 წლამდე გამოითვლება საგადასახადო მოგებიდან (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლებსა და გამოსაქვით ხარჯებს შორის სხვაობიდან) მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთის გამოყენებით.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო

პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2016-2017 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

2.9. მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნას მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე.

2.10. ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება

მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

2.11. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1000 (ერთი ათასი) ლარის სიზუსტით.

2.12. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი; 1 EUR=3.1044 ლარი.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი; 1 EUR=2.7940 ლარი.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.3949 ლარი; 1 EUR=2.6169 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი; 1 EUR=2.8596 ლარი.

2016 წელს: 1 USD=2.3534 ლარი; 1 EUR=2.5952 ლარი.

2.13. ახალი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა და ჯერ არ არის დანერგილი

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე, მოცემულია ქვემოთ. კომპანიის ამ სტანდარტების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე. ხელმძღვანელობა არ მოელოს, რომ ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის. სტანდარტი ცვლის **ბასს 39** „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ სახელმძღვანელო მითითებებს და ეხება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაციას, გაზომვას და აღიარებას, ფინანსური აქტივების გაუფასურების გაანგარიშებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალი მოდელისა და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი ზოგადი მოთხოვნების ჩათვლით. მას ასევე გადმოაქვს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებასა და აღიარების შეწყვეტის სახელმძღვანელო მითითებები **ბასს 39**-დან. კომპანია აფასებს პოტენციურ ზეგავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მაგრამ არ არის მოსალოდნელი, რომ ამას არსებითი გავლენა ჰქონდეს კომპანიის საქმიანობის შედეგებზე.

– ფასს 15 - „შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის. სტანდარტი ცვლის შემოსავლების აღიარების არსებულ სახელმძღვანელო მითითებას, მათ შორის **ბასს 18** „ამონაგები“, **ბასს 11** „სამშენებლო კონტრაქტები“ და **ფასიკ (IFRIC) 13** „კლიენტების მიმართ ლოიალურობის პროგრამები“ და ადგენს ყოვლისმომცველ ჩარჩოს იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად, რა რაოდენობით და როდის ხდება შემოსავლის აღიარება ხუთეტაპიანი მოდელის შემოღებით. წინასწარი შეფასებების საფუძველზე ამ შესწორებების და ინტერპრეტაციების მიღებას, სავარაუდოდ, არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე თუ გამჟღავნებულ ინფორმაციაზე.

– ფასს 16 - „იჯარა“

2015 წლის იანვარში, ბასსს-მა გამოუშვა **ფასს 16** „იჯარა“, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის შესახებ ახალი სტანდარტის - **ფასს 15**-ის გამოყენებაც იმავე თარიღით მოხდება. **ფასს 16**-ის გამოყენება შეიძლება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. **ფასს 16** მოითხოვს, რომ მოიჯარეებმა იჯარები აღრიცხონ სტანდარტის ფარგლებში იმის ანალოგიურად, როგორც ამჟამად ხდება ფინანსური იჯარის აღრიცხვა **ბასს 17**-ის „იჯარა“ მიხედვით. მოიჯარეები აღიარებენ აქტივის „გამოყენების უფლებას“ და შესაბამის ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე. აქტივის ამორტიზება მოხდება იჯარის ვადის განმავლობაში და ფინანსური ვალდებულება შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული

იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ „მოკლევადიანი“ იჯარები და იჯარები „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივებით. მეიჯარის აღრიცხვა არსებითად იგივე რჩება, რასაც **ბასს 17** ითვალისწინებს. კომპანია არ მოელის **ფასს 16**-ის ვადაზე ადრე მიღებას და ამ ეტაპზე აფასებს **ფასს 16**-ის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	ნაშთი 01.01.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში	11	4	16
ლარი რეზიდენტ ბანკებში	27	31	91
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	48	0	0
უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკებში	1559	1621	1878
სულ:	1645	1656	1985

კომპანიას 2016 წლის ბოლოს ანუ 01.01.2017 წ. მდგომარეობით ჰქონდა მცირე ოდენობის საბანკო ოვერდრაფტი სავალუტო საბანკო ანგარიშზე PPF Bank-ში 47.57 EUR (ეკვივალენტი ლარებში - 132.91 ლარი), რაც ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვალდებულებების ნაწილში, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში გათვალისწინებულია ფულადი სახსრების საბოლოო ნაშთში.

3.2. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან:

	ნაშთი 01.01.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მოთხოვნები ტერმინალეზით გადახდილ თანხებზე	0	0	1
მოთხოვნები ვაუჩერებით	18	24	12
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	31	141	39
მოთხოვნების გაუფასურება	0	0	-16
სულ:	49	165	36

2017 წელს, კომპანიამ საექვო ვალად აღიარა 18 პირის მიმართ არსებული დებიტორული დავალიანება ჯამში 16 ათასი ლარის ოდენობით, 100%-იანი გაუფასურებით.

3.3. ავანსები და წინასწარ გაწეული ხარჯები:

	ნაშთი 01.01.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	237	61	111
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	26	14	0
PPF ბანკის დაზღვევა და გარანტია	839	732	625
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	15	36	30
ავანსად გაცემული ხელფასი	1	0	0
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	10	1	2
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	26	15	0
სულ:	1154	859	768

3.4. მარაგები:

	ნაშთი 01.01.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
კვების პროდუქტები, სამზარეულოს მარაგი და ინვენტარი	40	56	29
ელექტრონული სამაგურები	38	38	50
სამშენებლო-სარემონტო მასალები	23	57	4
სპეცტანსაცმელი და უნიფორმები	16	36	3
საოფისე საქონელი	14	15	7
გასაყიდი საიუველიერო საქონელი	2	3	3
საჩუქრად გასაცემი ავტომანქანა	0	0	20
საწვავი	1	1	0
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	43	62	64
სულ:	177	268	180

კომპანიის მარაგები ასახულია თვითღირებულებით, გარდა ერთი გამონაკლისისა, როდესაც გასაყიდად გამიზნული მარაგის („სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულების“ ჯგუფიდან) ჩამოფასება მოხდა ნეტო გასაყიდ ფასამდე. ჩამოფასების თანხამ შეადგინა 1,1 ათასი ლარი. სხვა შემთხვევებში, მარაგების შეფასება ნეტო გასაყიდი ღირებულებით არ მომხდარა, რადგან არ არსებობს ინფორმაცია, რომ მათი ნეტო გასაყიდი ღირებულება ნაკლებია თვითღირებულებაზე.

3.5. საგადასახადო და სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 01.01.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ჩასათვლელი დღე	20	21	19
წაყენებული პრეტენზიები K.Prodaction-ის მიმართ	0	54	54
სხვა წაყენებული პრეტენზიები	0	21	38
სულ:	20	96	111

3.6. ძირითადი საშუალებები:

მიწის ნაკვეთები:

	ნაშთი 01.01.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიწა არასასოფლო სამეურნეო 1304 კვ.მ. 01.12.21.001.217	32	32	32
მიწა არასასოფლო სამეურნეო 676 კვ.მ. 01.12.21.001.212 /ნაგებობით 94.50 კვ.მ/	17	17	17
მიწა არასასოფლო სამეურნეო 129547 კვ.მ. 01.12.21.001.211 /ნაგებობით 16075.14 კვ.მ/	3182	3182	3182
სულ:	3231	3231	3231

მასზე მდგარი შენობა-ნაგებობები:

	ნაშთი 01.01.2016 მდგომარეობით	2016 წელი ზრდა ან შემცირება	2016 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით	2017 წელი ზრდა ან შემცირება	2017 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
შენობები	12018	83	601	11499	0	605	10894
ნაგებობები	5167	70	338	4900	309	342	4867
სულ:	17185	153	939	16399	309	947	15761

სხვა ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 01.01.2016 მდგომარეობით	2016 წელი ზრდა ან შემცირება	2016 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით	2017 წელი ზრდა ან შემცირება	2017წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
მანქანა-დანადგარები	832	22	77	777	1	80	698
მანქანა-დანადგარები 1000 ლარამდე	0	4	0	4	2	1	5
კომპიუტერები და აღჭურვილობა	604	35	56	583	89	66	606
ფიტნესის ძირითადი საშუალებები	201	0	12	189	0	13	176
ოფისის აღჭურვილობა	284	16	42	258	4	44	218
ოფისის აღჭურვილობა 1000 ლარამდე	0	0	0	0	5	0	5
ელექტრონული მოწყობილობები (გარდა კომპიუტ.ტექნიკი)	0	9	0	9	0	2	7
GPRS საკონტროლო- სალარო აპარატ	5	0	1	4	0	1	3
კომპიუტერული აღჭურვილობა 1000 ლარამდე	0	10	1	9	0	2	7
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1215	20	104	1131	24	108	1047
ფიტნეს აღჭურვილობა	9	0	1	8	0	1	7
ავეჯი და სხვა ინვენტარი 1000 ლარამდე	0	8	1	7	52	7	52
ავეჯი და სხვა ინვენტარი	0	7	1	6	0	2	4
ჭურჭელი ობიექტზე (1000 ლარამდე)	3	4	1	6	0	1	5
მწვანე ნარგავები	3	0	0	3	10	0	13
ხელოვნური ყვავილები	36	0	4	32	0	4	28
მწვანე ნარგავები (ნაყოფის მომცემი კულტურები)	0	0	0	0	1	0	1
სატრანსპორტო საშუალებები	354	0	35	319	-100	15	204
სულ:	3546	135	336	3345	88	347	3086

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება გადაფასების მოდელი. ბოლო გადაფასება ჩატარებულია 20.12.2015 წ. თარიღით დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენს:

2016 წლის ბოლოს - 1303,7 ათასი ლარი;

2017 წლის ბოლოს - 2568,8 ათასი ლარი.

3.7. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 01.01.2016 მდგომარეობით	2016 წელი ზრდა ან შემცირება	2016 წელი დარიცხული ამორტიზაცია	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით	2017 წელი ზრდა ან შემცირება	2017 წელი დარიცხული ამორტიზაცია	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
პროგრამული უზრუნველყოფა	367	12	19	360	0	21	339
სულ:	367	12	19	360	0	21	339

ძირითადი საშუალებების ერთიანი ამორტიზაციის თანხა შეადგენს:

2016 წლის ბოლოს - 63,5 ათასი ლარი;

2017 წლის ბოლოს - 84,4 ათასი ლარი.

3.8. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან:

	ნაშთი 01.01.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	357	328	240
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	1281	4	1
სულ:	1638	332	241

3.9. მოკლევადიანი სესხები:

	ნაშთი 01.01.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
SPEC TOURS BAU STB S. R. O. სესხი (ევრო)	209	0	0
EUROCOM & CO s.r.o. სესხი (ევრო)	0	4	0
Mordor Trade სესხი ევრო	497	0	0
SOLAR SOLUTIONS SLOVAKIA S.R.O.	471	0	0
გიორგაძე ნოდარი სესხი ლარი	0	366	116
გიორგაძე ნოდარი სესხი აშშ დოლარი	0	0	130
PPF BANK, A.S.EVROSKA (Principal Overdue)	3340	1073	0
გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი 4140EUR163 PPF-ბანკი (ევრო)	0	5186	3308
სულ:	4517	6629	3554

3.10. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 01.01.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება (rs.ge)	-74	12	233
შემდგომ პერიოდებში დასადეკლარირებელი ვალდებულებები	-68	14	22
საგადასახადო რისკის ანარიცხი	626	906	473
სულ:	484	932	728

3.11. გასაცემი პროცენტები:

	ნაშთი 01.01.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გიორგაძე ნოდარი % ევრო	1937	2073	2303
SPEC TOURS BAU STB S. R. O. %	23	0	0
შპს "გეო თრეიდ"	20	0	0
PPF BANK, A.S.EVROSKA ევრო	0	212	207
PPF BANK, A.S.EVROSKA Overdue Interest and penalty ევრო	0	25	735
სულ:	1980	2310	3245

3.12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

	ნაშთი 01.01.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიღებული ავანსები	35	165	21
გადასახდელი ხელფასები	52	49	49
ვალდებულებები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	0	1	1
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	3	10
სულ:	95	218	81

3.13. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

	ნაშთი 01.01.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
PPF ბანკი სესხი EUR	41287	38895	45839
გიორგაძე ნოდარი ევრო უპროცენტო სესხი	0	4485	7369
უპროცენტო სესხი არასავაჭრო დაწესებულებებიდან (იურიდიული პირები)	327	1349	1353
სულ:	41614	44729	54561

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის

გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიას არ აქვს 2016 წლის ბოლოსათვის გადავადებული საგადასახადო აქტივები ან/და ვალდებულებები, ხოლო 2015 წლის ბოლოს, გადავადებული საგადასახადო აქტივი არ არის აღიარებული იმის გამო, რომ კომპანიას არ ჰქონდა 2016-2020 წლებში საგადასახადო მოგების მიღების მოლოდინი.

3.14. გადაფასების რეზერვი:

	ნაშთი 01.01.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2016 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიწის გადაფასების რეზერვი	25	25	25
სხვა ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	1897	1897	1897
სულ:	1922	1922	1922

გადაფასების რეზერვები წარმოიქმნა ძირითადი საშუალებების აფასებიდან, რომელიც ჩატარდა 20.12.2015 წ. მდგომარეობით დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ (საშემფასებლო დასკვნა გაცემულია 2016 წელს).

ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგები აღიარდა 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. ჩამოფასების თანხამ შეადგინა 24815 ათასი ლარი, რაც ასახულია 2015 წლის დაუფარავი ზარალის ნაშთში.

3.15. შემოსავალი მომსახურებისა და პროდუქციის მიწოდებიდან:

	2016 წელი	2017 წელი
საცურო აუზისა და გასართობი ღონისძიებების მომსახურება	2959	3611
კვების მომსახურება	63	33
მასალების რეალიზაცია	26	3
საიჯარო შემოსავლები	21	206
მარკეტინგული მომსახურება	11	24
ტურნირის ორგანიზების მომსახურება	6	0
„ქემ-ბექის“ მომსახურება	4	0
გაწეულ მომსახურებაზე გახარჯული მასალების თვითღირებულება	-343	-97
კვების მომსახურება „გასტრო N1“-საგან	0	-48
სულ:	2747	3732

3.16. მიწოდების ხარჯები:

	2016 წელი	2017 წელი
რეკლამის ხარჯები	169	40
მარკეტინგული ხარჯები	145	128
კვების მომსახურების სამეურნეო ხარჯები	17	4
სამუშაო მომსახურების ხარჯები	14	3
საბანკო ტერმინალების ხარჯები	13	19
საღარი აპარატების მომსახურების ხარჯები	1	1
სხვა მიწოდების ხარჯები	0	5
სულ:	359	200

3.17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2016 წელი	2017 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	1257	968
ელექტროენერგიის, გაზის, წყლის, დასუფთავების ხარჯები	691	735
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	239	230
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	62	13
საწვავის ხარჯები	38	34
დაზღვევის ხარჯები	38	37
საკომუნიკაციო ხარჯები	36	33
საბანკო ხარჯები (გარდა ტერმინალებისა)	16	21
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	277	771
სულ:	2654	2842

3.18. სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2016 წელი	2017 წელი
შენობა-ნაგებობების ცვეთა	-939	-947
სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა	-336	-357
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	-20	-21
სულ:	-1295	-1325

3.19. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2016 წელი	2017 წელი
შემოსულობები დანაკლისის დაკისრებიდან	2	3
ნეტო შემოსავალი ძირით. საშუალებების გაყიდვიდან	0	0
ფინანსური შემოსავლები (საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი)	2	1
დადებითი საკურსო სხვაობები	334	447
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	1476	205
სულ:	1814	656

სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები შედგება კრედიტორული დავალიანების გაუქმებისაგან, ნაჩუქარი ქონებისაგან, მიღებული ზარალის ანაზღაურებისაგან და გადასახადების დეკლარირების დროს დამრგვალებების ცდომილებებისაგან.

3.20. არასაოპერაციო ხარჯები:

	2016 წელი	2017 წელი
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	0	-5
საპროცენტო დანახარჯები	-1904	-1600
ჯარიმა სესხის გადაცილებზე	-25	-593
PPF ბანკის სესხის დაზღვევისა და გარანტიის ხარჯი	-107	-107
რისკის ანარიცხი / გაუქმება (ნეტო)	-280	433
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-2	-32
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-3662	-6183
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-91	-77
სულ:	-6071	-8164

სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები ძირითადად შედგება ხანდაზმული მოთხოვნების ჩამოწერისაგან და გადახდილი არასაგადასახადო ჯარიმებისა და პირგასამტეხლოებისაგან.

3.21. მოგების გადასახადის ხარჯი / საგადასახადო შემოსავალი:

რადგან საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2016 წელს შესული ცვლილებების გამო, რომლებიც ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან (მოგების გადასახადით დაბეგვრის ე.წ. „ესტონური მოდელი“), კომპანიას არ აქვს გადავადებული საგადასახადო აქტივები ან/და ვალდებულებები. შესაბამისად, მისი „მოგება ან ზარალი დაბეგვრამდე“ ტოლია მისი „წმინდა მოგება ან ზარალის“.

3.22. ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილ ფულადი ნაკადებთან - სესხები

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულებები	ვალდებულება 31.12.2016 მდგ.	გადახდა ფულადი სახსრებით	დაფარვა რეკლამირებით ან გადაკისრებით	დადებითი საკურსო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	ვალდებულების აღება რეკლამირებით ან გადაკისრებით	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2017 მდგ.
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება არასაფინანსო დაწესებულების (იურიდიული პირის) წინაშე	4	-4	0	0	0	0	0	0
უპროცენტო მოკლევადიანი ვალდებულება ფიზიკური პირის წინაშე	365	-1462	-2387	-7	3618	0	118	245
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი PPF-ბანკი	6259	-989	-7252	0	0	4631	659	3308
გრძელვადიანი სესხი PPF-ბანკიდან	38896	0	2622	0	0	0	4321	45839
უპროცენტო გრძელვადიანი ვალდებულება ფიზიკური პირის წინაშე	4485	0	0	0	0	2387	498	7370
უპროცენტო გრძელვადიანი ვალდებულება არასაფინანსო დაწესებულებების (იურიდიული პირების) წინაშე	1349	-113	0	0	0	0	117	1353
სულ:	51358	-2568	-7017	-7	3618	7018	5713	58115

რადგან ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ცვლილებები ბასს 7-ში - „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ 2017 წლიდან ამოქმედდა, კომპანია არ წარმოადგენს შედარებად ინფორმაციას, რადგან იგი ამ ცვლილებებს იყენებს პირველად.

3.23. ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილ ფულადი ნაკადებთან - პროცენტები

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2016 მდგ.	გადახდა	დადებითი საკურსო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2017 მდგ.
გადასახდელი პროცენტები ფიზიკური პირისთვის	2073	0	0	0	230	2303
PPF BANK-ისთვის გადასახდელი პროცენტები	237	-1488	-2	2193	1	942
სულ:	2310	-1488	-2	2193	231	3245

რადგან ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ცვლილებები **ბასს 7-ში** - „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ 2017 წლიდან ამოქმედდა, კომპანია არ წარმოადგენს შედარებად ინფორმაციას, რადგან იგი ამ ცვლილებებს იყენებს პირველად.

3.24. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

არსებობს შემდეგი რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;
- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი;

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეეძენება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევეს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორიცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

31.12.2017	EURO	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,878	-	1,878
აქტივები სულ:	1,878	-	1,878
სესხები პარტნიორებისგან	-	130	130
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	3,308		3,308
გადასახდელი პროცენტები	3,245		3,245
გრძელვადიანი სესხები	45,839		45,839
სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	8,537		8,537
ვალდებულებები სულ:	60,929	130	52,522
ნეტო შედეგი	(59,051)	(130)	(50,644)
USD (10% ცვლილება)	(13)		
Euro (10% ცვლილება)	(5,905)		

31.12.2016	EURO	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,621	-	1,621
აქტივები სულ:	1,621	-	1,621
მოკლევადიანი სესხები	4	-	4
სესხები პარტნიორებისგან	-	-	-
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	6,259	-	6,259
გადასახდელი პროცენტები	2,310	-	2,310
გრძელვადიანი სესხები	38,896	-	38,896
სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	5,535	-	5,535
ვალდებულებები სულ:	53,004	-	53,004
ნეტო შედეგი	(53,004)	-	(53,004)
USD (10% ცვლილება)	-		
Euro (10% ცვლილება)	(5,300)		

31.12.2015	EURO	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,559	48	1,607
აქტივები სულ:	1,559	48	1,607
მოკლევადიანი სესხები	1,174	-	1,174
სესხები პარტნიორებისგან	-	-	-
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	3,339	-	3,339
გადასახდელი პროცენტები	1,937	-	1,937
გრძელვადიანი სესხები	41,287	-	41,287
სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	-	-	-
ვალდებულებები სულ:	47,738	-	47,738
ნეტო შედეგი	(46,179)	48	(46,131)
USD (10% ცვლილება)	5		
Euro (10% ცვლილება)	(4,618)		

3.25. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციები

განხორციელებული ტრანზაქციები პარტნიორთან

1 ლარის სიზუსტით

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2017	დაუფარავი ნაშთი 31.12.2016	დაუფარავი ნაშთი 01.01.2016	ტრანზაქციის დირეზულეზა 2017 წელი	ტრანზაქციის დირეზულეზა 2016 წელი
მიღებული სესხები	7,615	4,850	-	-	-
გადასახდელი პროცენტები	2,303	2,073	1,937	-	-
სესხების აღება	-	-	-	3,618	4,990

განხორციელებული ტრანზაქციები ძირითად მენეჯმენტთან

1 ლარის სიზუსტით

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2017	დაუფარავი ნაშთი 31.12.2016	დაუფარავი ნაშთი 01.01.2016	ტრანზაქციის დირეზულეზა 2017 წელი	ტრანზაქციის დირეზულეზა 2016 წელი
გადასახდელი ხელფასი	2	1	2	-	-
ხელფასის ხარჯები	-	-	-	(26)	(28)

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

1 ლარის სიზუსტით

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2017	დაუფარავი ნაშთი 31.12.2016	დაუფარავი ნაშთი 01.01.2016	ტრანზაქციის დირეზულეზა 2017 წელი	ტრანზაქციის დირეზულეზა 2016 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	12	12	6	-	-
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	10	5	-	-	-
მიღებული სესხები	204	320	327	-	-
გადასახდელი პროცენტები	-	-	20	-	-
სესხების აღება	-	-	-	4	-

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

3.26. გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმი - ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც თვისებრივად განსხვავდება მანამდე მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმისაგან. ამასთან, დაბეგვრის ეს რეჟიმი არის იშვიათი, კერძოდ, საქართველო არის მეორე ქვეყანა ევროპაში (ესტონეთის შემდეგ), რომელმაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ეს მოდელი აირჩია. მოდელის თავისებურები, თვისობრივი სიახლე და საგადასახადო პრაქტიკის არარსებობა ქმნის გარკვეულ განუზღვრელობას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხში. მართალია, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ, მაგრამ არ არის გამორიცხული ის, რომ ეს ინტერპრეტაციები შემდგომში შეიცვალოს და საგადასახადო ორგანოებს სხვა პოზიცია ჰქონდეთ ანალოგიური საკითხების მიმართ.

სასამართლო დავები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთო სასამართლოებში კომპანიას გააჩნდა ორი სასამართლო დავა, რომელშიც ის გამოდის როგორც მოსარჩელე:

- 1) სასარჩელო თანხა - 8088 ლარი, მოპასუხე - შპს „იუქჯი“. სარჩელი შეტანილია 21.12.2017 წ.
- 2) სასარჩელო თანხა - 5918 ლარი, მოპასუხე - ფპ ეკატერინე ადეიშვილი. სარჩელი შეტანილია 03.11.2017 წ.

3.27. შესადარისი პერიოდის ცვლილებები

კომპანიამ სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის გამო, მოახდინა რეტროსპექტული გადაანგარიშებება ფინანსური ანგარიშგების 2015 წლიდან. ცვლილებები შეეხო ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვს, ცვეთის ხარჯს და მოგება-ზარალის ანგარიშს. 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტულად გადაანგარიშების გამო აკუმულირებული ზეგავლენა გასული წლების ზარალზე შეადგენს 24815,5 ათას ლარს (ზარალი გაიზარდა), ხოლო ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვმა შეადგინა 1922,1 ათასი ლარი.

გარდა ამისა, მოხდა 2015 წელს დაშვებული შეცდომების გასწორება, აკუმულირებული ზეგავლენა გასული წლების ზარალზე შეადგენს 40 ათას ლარს (ზარალი შემცირდა), რომლიდანაც 31 ათასი ლარი არის ფიზიკური პირის მხრიდან მისთვის

გადასახდელი პროცენტის ნაპატიები თანხა, ხოლო 9 ათასი ლარი - წინასწარ გაწეული სესხის დაზღვევისა და გარანტიის თანხის შესწორება.

3.28. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია მისი მენეჯმენტის მიერ 2018 წლის 21 თებერვალს. საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე - 01.01.2018-21.02.2019 პერიოდში არ მომხდარა ან არ არის ცნობილი რამე ისეთი მოვლენა ან ხდომილება, რომელიც გამოიწვევდა 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას. სხვა არამაკორექტირებელი მოვლენებიდან, ადგილი ჰქონდა შემდეგ საყურადღებო მოვლენებს:

1) 2018 წლის 23 იანვარს განხორციელდა PPF banka a.s.-საგან (ჩეხეთის რესპუბლიკა) აღებული სესხის რესტრუქტურირაცია, რომლის შედეგად, კომპანიას მოეხსნა (შეუმცირდა) 2017 წელს დარიცხული პროცენტი 45710.04 EUR და სესხის გადაგადაცილებაზე დარიცხული ჯარიმა 191013.18 EUR;

2) 2018 წლის 23 მარტს მოხდა შვილობილი კომპანიის - შპს „გასტრო N1“-ის (საიდენტიფიკაციო კოდი 406210121) შეძენა;

3) 2018 წელს კომპანიამ წინა საანგარიშგებო პერიოდებიდან წარმოშობილი ორი კრედიტორული დავალიანებები აღიარა შემოსავალში ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, 64,4 ათასი ლარის ოდენობით;

4) 2018 წლის დეკემბერში დამთავრდა კომპანიის 2015-2018 საანგარიშგებო წლების სრული გეგმიური საგადასახადო შემოწმება საქართველოს საგადასახადო ორგანოს - შემოსავლების სამსახურის მიერ. შემოწმებამ მოიცვა 01.01.2015-01.07.2018 საანგარიშგებო პერიოდები. დამატებით დარიცხულმა თანხამ, საურავის ჩათვლით, შეადგინა 517,4 ათასი ლარი. შემოწმების შედეგებთან დაკავშირებით, ამჟამად მიმდინარეობს საგადასახადო დავა საქართველოს ფინანსთა სისტემაში.

შპს „ჯინო პარკი“-ს 2017 წლის მმართველობის ანგარიშგება

(საქმიანობის მიმოხილვა)

კომპანია შპს „ჯინო პარკი“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 404906722) დაარსდა 2011 წლის 9 აგვისტოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსით;

კომპანიის ერთპიროვნულ დამფუძნებელს წარმოადგენს: არარეზიდენტი იურიდიული პირი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება Gino Euro Invest S.R.O. (ჯინო ევრო ინვესტ ს.რ.ო.), ჩეხეთის რესპუბლიკა, 243 14 145, 06/06/ 2012 (ფლობს შპს „ჯინო პარკის“ კაპიტალში 100%-ს);

კომპანიის გენერალური დირექტორი დაარსების დღიდან არის რამაზ მიქაძე.

კომპანიას არ ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო. იგი იმართება გენერალური დირექტორისმიერ, რომელიც არის კომპანიის ერთპიროვნული მმართველი. კომპანიას მართვაში მონაწილეობს აგრეთვე აღმასრულებელი დირექტორი.

კომპანიას 2017 წლის ბოლოს ფილიალები და შვილობილი საწარმოები არ გააჩნდა.

შპს „ჯინო პარკი“ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2011 წლის 19 ოქტომბრიდან.

- კომპანიის მიზანია მოგების მიღება გამჭვირვალე, სამართლიანი და ბიზნეს-ეთიკაზე დაფუძნებული საქმიანობის წარმართვის შედეგად.
- კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა.
- კომპანიის სავაჭრო ნიშნებია: „Gino Paradise“, „ჯინო ფერედაისი“.
- „ჯინო ფერედაისი“ წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთ, ხოლო ამიერკავკასიაში – ერთადერთ, მასშტაბურ წყლის ცენტრს უამრავი ატრაქციონით, 31 მეტრიანი ტობოგანით და დახურული და ღია აუზებით. იგი ასევე მოიცავს თბილისის ზღვის სანაპირო ზონას. ის მომხმარებლებისთვის გაიხსნა 2013 წლის აგვისტოში.
- „ჯინო ფერედაისი“ არის მრავალფუნქციური კომპლექსი, რომელიც აერთიანებს გრანდიოზულ აკვაპარკს, უნიკალურ სარელაქსაციო და გამაჯანსაღებელ ველნეს და სპა ცენტრს, ფიტნეს დარბაზს, კვების ობიექტებს, დაბადების დღის ცენტრს, ცურვის შემსწავლელ სპორტს.
- „ჯინო პარკის“ სპა ცენტრი სთავაზობთ მომხმარებელს სარელაქსაციო, არომა და გამაჯანსაღებელ პროცედურებს, ასევე უნიკალურ საუნებს და ჰიდროთერაპიისთვის განკუთვნილ ოთახებსა თუ აღჭურვილობებს.

- ფიტნეს ცენტრი სთავაზობს უახლეს კარდიო და ძალისმიერ ტრენაჟორებს, აერობიკის დარბაზს და მრავალფეროვან სლენდერებს, რომლებიც განკუთვნილია სხვადასხვა ტიპის კომპლექსური ვარჯიშებისათვის.
- კომპანიის მიზანია, ნებისმიერი ასაკის მომხმარებელს შევთავაზოთ გამორჩეული და დაუვიწყარი გართობისა, გაჯანსაღებისა და დასვენების ადგილი; გვწამს, რომ გართობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი ერთმანეთის შემაჯავებელი ცნებებია.
- სამიზნე სამომხმარებლო სეგმენტს წარმოადგენს საცალო ქსელი და კერძო კორპორატიული სექტორი.
- განვითარებული მომსახურების სერვისი, მრავალფეროვანი მარკეტინგული აქტივობები მომხმარებელთან მაქსიმალური დაახლოების შესაძლებლობას ქმნის.
- პროდუქციის ასორტიმენტი და მრავალფეროვანი არჩევანი, როგორც დიზაინის ისე საფასო კატეგორიის კუთხით, სხვადასხვა გემოვნებისა და მსყიდველობითუნარიანი მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების მაქსიმალურ შესაძლებლობას იძლევა.
- შპს „ჯინო პარკი“ მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანიაა, რომლისთვისაც რეპუტაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. კომპანია აქცენტს აკეთებს ხარისხიანი სერვისის წარდგენასა და მომხმარებელთან კეთილსინდისიერი ურთიერთობის დამყარებაზე.
- კომპანიის განვითარების მხრივ სისტემატური ზრუნვის საგანია თანამედროვე სერვისების დანერგვა და განვითარება, ინოვაციური ნაბიჯების გადადგმა.
- დასაქმებულთა წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით პერიოდულ რეჟიმში ხორციელდება მატერიალური წახალისება (ბონუსები, პრემიები). კომპანია უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევას და კვებას.
- კომპანიაში დაზღვეულია როგორც უძრავი ქონება, ასევე საწყობში არსებული მარაგები, ავტომანქანები, მესამე პირის პასუხისმგებლობა.
- კომპანიის მთლიანი ინფრასტრუქტურა აღჭურვილია დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, პერმანენტულად ახლდება შესაბამისი ინვენტარი და ტექნოლოგიები. კომპანიას ჰყავს 24 საათიანი დაცვა, რომელიც აკონტროლებს შიდა და გარე პერიმეტრს სამეთვალყურეო კამერების მეშვეობით.
- თანამშრომელთა აღრიცხვის ელექტრონული სისტემა იძლევა ზუსტ და ოპერატიულ ინფორმაციას დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დროის აღრიცხვის კუთხით.
- „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს.

- კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვაწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, საბუღალტრო პროგრამების „ორისი“-ს და 1C-ის გამოყენებით.
- 2017 წლის ბოლოსათვის, კომპანიის საწესდებო კაპიტალი 26,8 მილიონ ლარს გადასცდა.
- კომპანიის ამონაგებმა 2016 წელს 3,09 მილიონი ლარი, ხოლო 2017 წელს - 3,88 მილიონი ლარი შეადგინა; რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამონაგების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 25,6%-ით.
- კომპანიის აღებული აქვს გრძელვადიანი სესხი (დაფარვის ვადა - 2023 წლის 15 ნოემბერი) ევროებში „PPF Bank“-იდან (ჩეხეთი). 2017 წლის ზარალი ძირითადად გამოწვეულია საპროცენტო ხარჯებითა და უარყოფითი საკურსო სხვაობებით.
- ბიუჯეტში გადასახადების სახით კომპანიას 2016 წელს გადახდილი აქვს 597,0 ათასი ლარი, ხოლო 2017 წელს 644,8 ათასი ლარი (ზრდა - 8%).
- იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის ისტორია სათავეებს იღებს 2000-იან წლებში, მცირე კაპიტალით დაწყებული საქმიანობით, დიდი ოდენობის მოზიდული სესხით, ზემოთ აღწერილი ფინანსური მაჩვენებლები პოზიტიური შედეგია.
- რისკების მხრივ, მნიშვნელოვანი საკითხია სავალუტო კურსის სტაბილურობა, რადგანაც დევალვაციის შედეგად საკურსო სხვაობიდან წარმოიშვება დამატებითი ფინანსური ხარჯები, ასევე არასახარბიელო გავლენას ახდენს ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე და შედეგად პროდუქციის რეალიზაციაზე.
- სამომავლო გეგმების დასახვა და განვითარება მენეჯმენტის მუდმივი ზრუნვის საგანია. იგეგმება კომპანიის ზრდასთან ერთად სასტუმროს მშენებლობა და აუზების დამატება.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „ჯინო პარკის“ გენერალური დირექტორისა და ფინანსური დირექტორის მიერ 2019 წლის 19 თებერვალს.

გენერალური დირექტორი

-----რამაზ მიქაძე

ფინანსური დირექტორი

-----ვერიკო გუდავა



შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საიდენტიფიკაციო № 211344188. www.tsodnisa.ge ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge
თბილისი, 0177, ვაჟა-ფშაველას გამზირი №41, IV სართული. ტელ.: 239-33-50, 239-33-56

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

შპს „ჯინო პარკის“ მენეჯმენტს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიტოვავეს შპს „ჯინო პარკის“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 404906722) (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების ასახვისათვის მანამდე (მათ შორის, 2015 და 2016 წლებში) გამოყენებული თვითღირებულების მოდელი შეეცვალა გადაფასების მოდელით, **ბასს 16** - „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად. გადაფასებას დაექვემდებარა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფი 2015 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით, 2016 წლის 4 ოქტომბერს ერთ-ერთი უფლებამოსილი აუდიტური ფირმის მიერ გაცემული საშემფასებლო დასკვნის საფუძველზე. კომპანიამ გადაფასების შედეგები ასახა რეტროსპექტულად 2015 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ჩათვალა რა ეს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებად. კომპანიის ამ გადაწყვეტილებას არ ვეთანხმებით, რადგან **ბასს 8** - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომების“ თანახმად, ძირითადი საშუალებების გადაფასების პოლიტიკის თავდაპირველი გამოყენება განიხილება როგორც სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება, რაც უნდა აღირიცხოს **ბასს 16**-ის შესაბამისად და არა **ბასს 8**-ის შესაბამისად. ეს არ იწვევს უკვე წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებების რეტროსპექტულ გადაანგარიშებას. ამასთან, კომპანიას უნდა გაეკეთებინა ძირითადი საშუალებების ღირებულების შეფასება მიმდინარე ანუ 2017 წლის მდგომარეობით, და არ უნდა დაყრდნობოდა 2015 წლის დეკემბერში გაკეთებულ შეფასებას. კომპანიას არ წარმოუდგენია აკრედიტებული შემფასებლის მიერ ხელმოწერილი საშემფასებლო დასკვნა 2017 წლის მდგომარეობით. აღნიშნული ფაქტორი ახდენს არსებით და ყოვლისმომცველ ზეგავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების

მნიშვნელოვან მუხლებზე - ძირითადი საშუალებებისა და მათი ცვეთის ხარჯის თანხაზე, დაუფარავი ზარალისა და გადაფასების რეზერვების სიდიდეზე.

გარდა ამისა, რადგან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით აუდიტორული მომსახურების გაწევა ჩვენმა აუდიტორმა კომპანიამ დაიწყო 2018 წლის ივლისიდან, ჩვენ ვერ მოვახერხეთ, საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს დათვალიერებით ან სხვა ალტერნატიული გზებით მარაგების რაოდენობებისა და სახეობრივი შემადგენლობის დადასტურება, რომლებიც კომპანიას აქვს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ მარაგთან დაკავშირებით.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2.3 განმარტებით შენიშვნაზე, რომელიც ეხება საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპთან დაკავშირებულ განუსაზღვრელობას. კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მართებულია საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენება. ამ შენიშვნაში აღნიშნული გარემოებები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც ექვს ბაღებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

მნიშვნელოვანი გარემოებები

2018 წლის აგვისტოში დაიწყო კომპანიის 2015-2018 საანგარიშგებო წლების სრული გეგმიური საგადასახადო შემოწმება საქართველოს საგადასახადო ორგანოს - შემოსავლების სამსახურის მიერ, რომელიც დასრულდა 2018 წლის დეკემბერში. საგადასახადო შემოწმების შედეგებთან დაკავშირებით ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილია განმარტებითი შენიშვნა 3.28. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებულია ჩვენი აუდიტორი კომპანიის მიერ და გამოთქმულია არამოდიფიცირებული მოსაზრება ამ ანგარიშგების შესახებ 2017 წლის 31 ივლისს. 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებულია სხვა აუდიტორი კომპანიის მიერ, რომელსაც ასევე გამოთქმული აქვს არამოდიფიცირებული მოსაზრება აღნიშნული ანგარიშგების შესახებ 2016 წლის 30 ივნისს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას

განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში.

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ შპს „ჯინო პარკის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელადაუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ შპს „ჯინო პარკისაგან“ იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედრილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“
საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

22 თებერვალი, 2019 წელი



მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებას 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- საწარმოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2019 წლის 22 თებერვალს:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



რამაზ მიქაძე

ვერიკო გუდავა

შპს "ჯინო პარკი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	საანგარიშგებო პერიოდი			შენიშვნა
	01.01.2016	31.12.2016	31.12.2017	
აქტივები				
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	3046	3044	3080	
ფულადი სახსრები	1645	1656	1985	3.1
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	49	165	36	3.2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	1119	843	766	3.3
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	36	16	2	3.3
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	177	268	180	3.4
წინასწარ გადახდილი გადასახადები	20	21	19	3.5
სხვა მიმდინარე აქტივები	0	75	92	3.5
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	24329	23335	22416	
ძირითადი საშუალებები	23962	22975	22077	3.6
არამატერიალური აქტივები	367	360	339	3.7
სულ აქტივები:	27375	26379	25496	
ვალდებულებები და კაპიტალი				
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	8714	10421	7849	
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1638	332	241	3.8
მოკლევადიანი სესხები	4517	6629	3554	3.9
საგადასახადო ვალდებულებები	484	932	728	3.10
გასაცემი პროცენტები და მსგავსი ვალდებულებები	1980	2310	3245	3.11
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	95	218	81	3.12
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	41614	44729	54561	
გრძელვადიანი სესხები	41287	38895	45839	3.13
სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	327	5834	8722	3.13
<i>სულ კაპიტალი:</i>	-22953	-28771	-36914	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	26842	26842	26842	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	-51717	-57535	-65678	
რეზერვები და დაფინანსება	1922	1922	1922	3.14
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	27375	26379	25496	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემის საფუძველზე 22.02.2019 წ.

დირექტორი _____

რამაზ მიქაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "ჯინო პარკი"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ერთეული: 1000 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2016	2017	
ამონაგები	3090	3877	
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-343	-145	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	2747	3732	3.15
მიწოდების ხარჯები	-359	-200	3.16
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-2654	-2842	3.17
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	-1295	-1325	3.18
სულ საოპერაციო ხარჯები:	-4308	-4367	
შემოსულობები დანაკლისის დაკისრებიდან	2	3	
ფინანსური შემოსავლები	2	1	
დადებითი საკურსო სხვაობები	334	447	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	1476	205	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	1814	656	3.19
ზარალი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან	0	-5	
ფინანსური დანახარჯები	-2036	-2300	
რისკის ანარიზები	-280	433	
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-2	-32	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-3662	-6183	
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-91	-77	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-6071	-8164	3.20
მოგება დაბეგვრამდე:	-5818	-8143	
მოგების გადასახადის ხარჯი			
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან:	-5818	-8143	3.21
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან			
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	-5818	-8143	
მათ შორის, მოგება ან ზარალი მისაკუთვნებელი:			
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	-5818	-8143	
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:			
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	-5818	-8143	
მათ შორის, სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:			
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	-5818	-8143	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 22.02.2019 წ.

დირექტორი _____ რამაზ მიქაძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "ჯინო პარკი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ერთეული: 1000 GEL

	სააქციო / საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	გადაფასების რეზერვები	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2016-თვის	26842	-26942		-100
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები		-24815	1922	-22893
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები		40		40
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები	26842	-51717	1922	-22953
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი		-5818		-5818
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		-5818		-5818
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები				
ნაშთი 01.01.2017-თვის	26842	-57535	1922	-28771
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი		-8143		-8143
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		-8143		-8143
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები				
ნაშთი 01.01.2018-თვის	26842	-65678	1922	-36914

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 22.02.2019 წ.

დირექტორი _____ რამაზ მიქაძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "ჯინო პარკი"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

		ერთეული: 1000 GEL	
		საანგარიშგებო პერიოდი	
		2016	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		3474	5657
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან		3	4
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		-2063	-3297
გაცემული შრომის ანაზღაურება		-908	-708
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)		-597	-645
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები		-57	-21
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან		-148	990
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		-300	-524
ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობანი			100
მიღებული პროცენტები		2	1
სხვა შემოსულობანი / განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)		7	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან		-291	-423
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება		4781	3618
სესხების დაფარვა		-2717	-2568
გადახდილი პროცენტები		-1700	-1488
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან		364	-438
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)		86	200
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:		11	329
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:		1645	1656
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:		1656	1985

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 22.02.2019 წ.

დირექტორი



რამაზ მიქაძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს „ჯინო პარკი“-ს 2017 წლის მმართველობის ანგარიშგება

(საქმიანობის მიმოხილვა)

კომპანია შპს „ჯინო პარკი“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 404906722) დაარსდა 2011 წლის 9 აგვისტოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსით;

კომპანიის ერთპიროვნულ დამფუძნებელს წარმოადგენს: არარეზიდენტი იურიდიული პირი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება Gino Euro Invest S.R.O. (ჯინო ევრო ინვესტ ს.რ.ო.), ჩეხეთის რესპუბლიკა, 243 14 145, 06/06/ 2012 (ფლობს შპს „ჯინო პარკის“ კაპიტალში 100%-ს);

კომპანიის გენერალური დირექტორი დაარსების დღიდან არის რამაზ მიქაძე.

კომპანიას არ ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო. იგი იმართება გენერალური დირექტორის მიერ, რომელიც არის კომპანიის ერთპიროვნული მმართველი. კომპანიას მართვაში მონაწილეობს აგრეთვე აღმასრულებელი დირექტორი.

კომპანიას 2017 წლის ბოლოს ფილიალები და შვილობილი საწარმოები არ გააჩნდა.

შპს „ჯინო პარკი“ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2011 წლის 19 ოქტომბრიდან.

- კომპანიის მიზანია მოგების მიღება გამჭვირვალე, სამართლიანი და ბიზნეს-ეთიკაზე დაფუძნებული საქმიანობის წარმართვის შედეგად.
- კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა.
- კომპანიის სავაჭრო ნიშნებია: „Gino Paradise“, „ჯინო ფერედაისი“.
- „ჯინო ფერედაისი“ წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთ, ხოლო ამიერკავკასიაში – ერთადერთ, მასშტაბურ წყლის ცენტრს უამრავი ატრაქციონით, 31 მეტრიანი ტობოგანით და დახურული და ღია აუზებით. იგი ასევე მოიცავს თბილისის ზღვის სანაპირო ზონას. ის მომხმარებლებისთვის გაიხსნა 2013 წლის აგვისტოში.
- „ჯინო ფერედაისი“ არის მრავალფუნქციური კომპლექსი, რომელიც აერთიანებს გრანდიოზულ აკვაპარკს, უნიკალურ სარელაქსაციო და გამაჯანსაღებელ ველნეს და სპა ცენტრს, ფიტნეს დარბაზს, კვების ობიექტებს, დაბადების დღის ცენტრს, ცურვის შემსწავლელ სპორტს.
- „ჯინო პარკის“ სპა ცენტრი სთავაზობთ მომხმარებელს სარელაქსაციო, არომა და გამაჯანსაღებელ პროცედურებს, ასევე უნიკალურ საუნებს და ჰიდროთერაპიისთვის განკუთვნილ ოთახებსა თუ აღჭურვილობებს.

- ფიტნეს ცენტრი სთავაზობს უახლეს კარდიო და ძალისმიერ ტრენაჟორებს, აერობიკის დარბაზს და მრავალფეროვან სლენდერებს, რომლებიც განკუთვნილია სხვადასხვა ტიპის კომპლექსური ვარჯიშებისათვის.
- კომპანიის მიზანია, ნებისმიერი ასაკის მომხმარებელს შევთავაზოთ გამორჩეული და დაუვიწყარი გართობისა, გაჯანსაღებისა და დასვენების ადგილი; გვწამს, რომ გართობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი ერთმანეთის შემავესებელი ცნებებია.
- სამიზნე სამომხმარებლო სეგმენტს წარმოადგენს საცალო ქსელი და კერძო კორპორატიული სექტორი.
- განვითარებული მომსახურების სერვისი, მრავალფეროვანი მარკეტინგული აქტივობები მომხმარებელთან მაქსიმალური დაახლოების შესაძლებლობას ქმნის.
- პროდუქციის ასორტიმენტი და მრავალფეროვანი არჩევანი, როგორც დიზაინის ისე საფასო კატეგორიის კუთხით, სხვადასხვა გემოვნებისა და მსყიდველობითუნარიანი მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების მაქსიმალურ შესაძლებლობას იძლევა.
- შპს „ჯინო პარკი“ მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანიაა, რომლისთვისაც რეპუტაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. კომპანია აქცენტს აკეთებს ხარისხიანი სერვისის წარდგენასა და მომხმარებელთან კეთილსინდისიერი ურთიერთობის დამყარებაზე.
- კომპანიის განვითარების მხრივ სისტემატური ზრუნვის საგანია თანამედროვე სერვისების დანერგვა და განვითარება, ინოვაციური ნაბიჯების გადადგმა.
- დასაქმებულთა წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით პერიოდულ რეჟიმში ხორციელდება მატერიალური წახალისება (ბონუსები, პრემიები). კომპანია უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევას და კვებას.
- კომპანიაში დაზღვეულია როგორც უძრავი ქონება, ასევე საწყობში არსებული მარაგები, ავტომატქანები, მესამე პირის პასუხისმგებლობა.
- კომპანიის მთლიანი ინფრასტრუქტურა აღჭურვილია დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, პერმანენტულად ახლდება შესაბამისი ინვენტარი და ტექნოლოგიები. კომპანიას ჰყავს 24 საათიანი დაცვა, რომელიც აკონტროლებს შიდა და გარე პერიმეტრს სამეთვალყურეო კამერების მეშვეობით.
- თანამშრომელთა აღრიცხვის ელექტრონული სისტემა იძლევა ზუსტ და ოპერატიულ ინფორმაციას დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დროის აღრიცხვის კუთხით.
- „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს.

- კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, საბუღალტრო პროგრამების „ორისი“-ს და 1C-ის გამოყენებით.
- 2017 წლის ბოლოსათვის, კომპანიის საწესდებო კაპიტალი 26,8 მილიონ ლარს გადასცდა.
- კომპანიის ამონაგებმა 2016 წელს 3,09 მილიონი ლარი, ხოლო 2017 წელს - 3,88 მილიონი ლარი შეადგინა; რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამონაგების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 25,6%-ით.
- კომპანიის აღებული აქვს გრძელვადიანი სესხი (დაფარვის ვადა - 2023 წლის 15 ნოემბერი) ევროებში „PPF Bank“-იდან (ჩეხეთი). 2017 წლის ზარალი ძირითადად გამოწვეულია საპროცენტო ხარჯებითა და უარყოფითი საკურსო სხვაობებით.
- ბიუჯეტში გადასახადების სახით კომპანიას 2016 წელს გადახდილი აქვს 597,0 ათასი ლარი, ხოლო 2017 წელს 644,8 ათასი ლარი (ზრდა - 8%).
- იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის ისტორია სათავეებს იღებს 2000-იან წლებში, მცირე კაპიტალით დაწყებული საქმიანობით, დიდი ოდენობის მოზიდული სესხით, ზემოთ აღწერილი ფინანსური მაჩვენებლები პოზიტიური შედეგია.
- რისკების მხრივ, მნიშვნელოვანი საკითხია სავალუტო კურსის სტაბილურობა, რადგანაც დევალვაციის შედეგად საკურსო სხვაობიდან წარმოიშვება დამატებითი ფინანსური ხარჯები, ასევე არასახარბიელო გავლენას ახდენს ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე და შედეგად პროდუქციის რეალიზაციაზე.
- სამომავლო გეგმების დასახვა და განვითარება მენეჯმენტის მუდმივი ზრუნვის საგანია. იგეგმება კომპანიის ზრდასთან ერთად სასტუმროს მშენებლობა და აუზების დამატება.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „ჯინო პარკის“ გენერალური დირექტორისა და ფინანსური დირექტორის მიერ 2019 წლის 19 თებერვალს.

გენერალური დირექტორი

რამაზ მიქაბე

ფინანსური დირექტორი

ვერიკო გუდავა

